“ახალი სპირიტუალობის” პრაქტიკები და ტრენდები ქართველ ახალგაზრდებში

ანა ხუციშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ხუციშვილი

18.01.26

აბსტრაქტი

ნაშრომი სწავლობს თუ როგორ განიცდიან და ხსნიან ქართველი ახალგაზრდები „ნიუ ეიჯთან“ დაკავშირებულ „ახალ სპირიტუალურ“ პრაქტიკებს. კვლევა ეფუძნება თვისებრივ ფენომენოლოგიურ მიდგომას და სიღრმისეულ ინტერვიუებს, რომლებიც აღწერენ მონაწილეთა პერსონალურ გამოცდილებებს, მოტივაციებსა და გაგებებს სპირიტუალობისა და რელიგიურობის კონტექსტში. ანალიზი განხორციელდა თეორიული ჩარჩოების გამოყენებით, კერძოდ, ყურადღება გამახვილდა რელიგიური ტრანსფორმაციის, დეტრადიციონალიზაციისა და განცდილი რელიგიის (lived religion) კონცეფციებზე.

კვლევის შედეგები ასახავს ამ პრაქტიკების ამბივალენტურ აღქმას: ერთი მხრივ, ისინი აღიქმება როგორც თვითზრუნვისა და პერსონალური მნიშვნელობის წყარო, მეორე მხრივ კი რესპონდენტები აღნიშნავენ მათთან დაკავშირებულ რისკებს, განსაკუთრებით ციფრულ და კომერციულ კონტექსტში. ნაშრომს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს იმ ემპირიული ცოდნის კვლევაში, რომელიც აღმოსავლეთ მართლმადიდებლურ და პოსტსაბჭოთა გეოგრაფიულ და კულტურულ სივრცეებში ნაკლებად არის შესწავლილი.

საძიებო სიტყვები: *ახალი სპირიტუალობა, ნიუ ეიჯი, ქართველი ახალგაზრდები, თვითსპირიტუალობა, მომხმარებლური საზოგადოება, რელიგია.*

Abstract

This study explores how Georgian youth experience, understand and interpret "New Spiritual" practices associated with the New Age. The research is based on a qualitative phenomenological approach and in-depth interviews, which explore participants' personal experiences, motivations and understandings in the context of spirituality and religiosity. The analysis is guided by theoretical frameworks, with particular attention to concepts such as religious transformation, detraditionalization and lived religion.

The findings reflect the ambivalent perception of these practices: on one hand, they are seen as sources of self-care and personal meaning, on the other hand, respondents highlight potential risks, particularly in digital and commercial contexts. The study makes a significant contribution to empirical knowledge, addressing gaps in research on Eastern Orthodox and post-Soviet cultural and geographic contexts, which remain underexplored.

Keywords: *new spirituality, New Age, Georgian youth, self-spirituality, consumer society, religion.*

მადლობა

დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ სოფო ზვიადაძეს, რომლის მხარდაჭერის გარეშე წინამდებარე ნაშრომის შექმნა, ისევე როგორც მთელი ჩემი სამაგისტრო გამოცდილება, ვერ იქნებოდა ისეთი სრულფასოვანი, როგორიც საბოლოო ჯამში აღმოჩნდა. მისი მნიშვნელოვანი წვლილის შედეგად, აკადემიურ განვითარებასთან ერთად, შევძელი, უფრო მკაფიოდ განმესაზღვრა ის პროფესიული თუ ცხოვრებისეული მიზნები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ჩემთვის ეგზისტენციალური გაურკვევლობის მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული.